

2008

55. საქართველოს პარლამენტის განცხადება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 6 მარტს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, 2008 წლის 14 მარტი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 6 მარტს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით - «დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ მიღებული 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან რუსეთის ფედერაციის გასვლის შესახებ»

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას და მტკიცე პროტესტს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 6 მარტს გაკეთებულ განცხადებასთან «დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ მიღებული 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან რუსეთის ფედერაციის გასვლის შესახებ».

საქართველოს საკანონმდებლო ორგანო რუსეთის ხელისუფლების აღნიშნულ პოზიციას განიხილავს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ღია მცდელობად. აღსანიშნავია, რომ სანქციების დაწესება იყო აფხაზური მხარის მიერ რეგიონში განხორციელებული ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგი, დადასტურებული ეუთოს 1994 წ. ბუდაპეშტის, 1996 ლისაბონის და 1999 წლის სტამბოლის სამიტების მიერ. 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან გამოსვლით რუსეთი იგნორირებას უკეთებს ეუთოს ზემოაღნიშნულ შეფასებებს, საქართველოს რეგიონებში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას, აგრეთვე, დსთ-ის ფარგლებში მიღებულ არაერთ დოკუმენტს და ცდილობს სეპარატისტული ხელისუფლების ლეგიტიმაციას.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან დაკავშირებული საკითხის განხილვა საქართველოსთან შეუთანხმებლად არის საქართველოს სუვერენული უფლებების სრული იგნორირება.

რუსეთის დუმაში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან თანამშრომლობის ინიციატივისათვისთვის მოყვანილი არგუმენტაცია ეფუძნება ისტორიული ფაქტების დამახინჯებას და არის სრულ შეუსაბამობაში კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებთან. რუსეთის ცალმხრივი ინიციატივები ხელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედ მოლაპარაკებათა ფორმატებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დსთ-ის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება ითვალისწინებს არა მხოლოდ ეკონომიკურ და სავაჭრო სანქციების დაწესებას, არამედ სამხედრო დახმარების შეზღუდვასაც. შესაბამისად, ეს არის მცდელობა განხორციელდეს სეპარატისტული რეჟიმებისთვის შეუზღუდავი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების ლეგიტიმაცია რეგიონის დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარების გარეშე.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ ეს დოკუმენტი არის ერთადერთი, რომელიც ღიად და ცალსახად კრძალავს ნებისმიერი სახის თანამშრომლობას აფხაზურ მხარესთან.

რუსეთის ეს ნაბიჯი არის კიდევ ერთი მცდელობა მოახდინოს რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაცია და ამით ხელი შეუშალოს შემდგომ წინსვლას საქართველო-ნატოს ურთიერთობებში. ეს არის რუსული მხარის მცდელობა, არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს ალიანსის გადაწყვეტილებაზე.

რუსეთის ეს პროვოკაციული ქმედებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთი თავად უკეთეს იგნორირებას დსთ-ის როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას და პატივს არ სცემს მის მიერვე აღებულ ვალდებულებებს და ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ დსთ-ის წევრი-ქვეყნები მხარს არ დაუჭერენ რუსეთის დესტრუქციულ გადაწყვეტილებას.

საქართველოს პარლამენტი რუსეთის მიერ დსთ-ის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან რუსეთის ფედერაციის გასვლის ფაქტს აფასებს როგორც რუსეთის მხრიდან კონფლიქტის ზონაში არსებული დსთ-ის მოქმედი სამშვიდობო ფორმატის სამართლებრივი ბაზის ეჭვქვეშ დაყენებას.

საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს იმედს, რომ რუსეთის დუმის მიერ საქართველოს რეგიონების შესახებ საკითხის ცალმხრივად განხილვის გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება იქნება სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და პრინციპებთან. საქართველოს პარლამენტი მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და მეგობარ ქვეყნებს სათანადო რეაგირება მოახდინონ რუსეთის ფედერაციის დაუფარავ მცდელობაზე წახალისოს სეპარატიზმი, მოახდინოს კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის ესკალაცია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა.

2008 წლის 14 მარტი.

(www.Parliament.ge)